# ხაშურის მოამბე

30(311) 5 ოქტომბერი, სამშაბათი, 2021 წელი


ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
- 2021 -

## არჩევნების მეორე ტური 30 ოქტომბერს გაიმართება

2021 წლის 2 ოქტომბერი უმნიშვნელოვანეს თარიღად იქცა საქართველოს უახლოეს ისტორიაში. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, ნებისმიერ დროს, საეტაპო მნიშვნელობისაა 787 . სწორედ ეს არჩევნები წყვეტს ვის ანდობს ხალხი, ოთხი წლის ვადით, კონკრეტული მუნიციპალიტეტის მმართველობას, ეს არჩევნები ადგენს იმ პერსონებს ვინც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური წინსვლისთვის უნდა იბრძოლონ. რაც ერი - ის ბერი - ამ „ფორმულის“ სათავე თუ „ეპილოგი“ სწორედ ასეთი არჩევნებით იწყება და შემდგომ ეტაპებზე წუწუნი - ვაი, ეს რა მთავრობა აგვირჩევია, აბსოლუტურად უადგილოა, რადგან ჩვენ, თითოეული ჩვენგანია ამ არჩევნების შემოქმედი და ფიქრი მის შედეგებზე არჩევნებამდე გვმართებს და არა მას შემდეგ.

მთელი საქართველოს მასშტაბით დიდი მოლოდინი იყო ამ აჩევნებისადმი. და არა მარტო საქაერთველო, თითქმის ნახევარი მსოფლიო ადევნებდა თვალს და დიდი ინტერესი იყო მის მიმართ. ამის დასტურია თუნდაც უპრეცედენტო რაოდენობის დამკვირვებელი, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ეწვივნენ ჩვენს ქვეყანას.

არჩევნებმა კი, მადლობა უფალს, მშვიდობიანად ჩაიარა. დღეილის ტემპერატურა ისეთი მაღალი იყო, რომ არავის გაკვირვებია ის მცირე დარღვევები, რაც ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა უბნებზე მოხდა. თუმცა, ამ დარღვევების აბსოლუტური უმრავლესობა ტექნიკური ხასიათის იყო და მათ რაიმე ზეგავლენა არჩევნების შედეგებზე არ მოუხდენიათ. ამის დადასტურება, კი ადგილობრივი თუ უცხოელი დამკვირვებლების დასკვნებშიც ჩანს.

როგორ ჩაიარა არჩევნებმა ჩვენს მუნიციპალიტეტში? 2012 წლის არჩევნების შემდეგ, რომელიც ტოტალური დარღვევებით და საშინელი კადრებით დაამახსოვრდა ხაშურელ ამომრჩეველს (ამ კადრებმა მაშინ მსოფლიოს ყველა წამყვანი მედიასაშუალებები მოიარა), იყო ერთგვარი შინაგანი შიში, რომ მსგავსი არ განმეორებულიყო. საბედნიეროდ, მას შემდეგ რვა სხადასხვა დონის აჩევნები ჩატარდა და დღევანდელმა ხელისუფლებამ მოახერხა, რომ დემოკრატიული პრინციპები სრულიად დაცული ყოფილიყო და ამომრჩეველს თავისუფლად შესძლებოდა საკუთარი ნების გამოხატვა. ასე იყო ამჯერადაც. 48787 ამომრჩევლიდან საარჩევნო უბანზე 25105 ამომრჩეველი მივიდა (აქვე განვმარტავთ, რომ ეს და ქვემოთ მოყვანილი ციფრები წინასწარი შედეგებია და უმნიშვნელო ცვლილებები კიდევ შეიძლება მოხდეს), რაც საერთო რაოდენობის 51,27% - ია. მუნიციპალიტეტის მერის არჩევნებში ასეთი შედეგი დაფიქსირდა:

№5. იოსებ ბუაძე - 8245 ხმა - 34,63% ;

№25. ზვიად ტეფნაძე - 4779 ხმა - 18.39% ;

№41. თენგიზ ჩიტიაშვილი - 10421 ხმა - 43.47% ;

№53. სიმონ ხითარიშვილი - 3.22% ;

რაც შეეხება პროპორციულ არჩევნებს, აქ ასეთი შედეგები მივიღეთ:

1. მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი - 413 ხმა - 1.7% ;

2. ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის - 175 ხმა - 0.72% ;

3. ვადამდელი არჩევნები - ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა - 93 ხმა - 0.38% ;

5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 7958 ხმა - 32.72% ;

6. ევროპელი დემოკრატები - 60 ხმა - 0.25% ;

7. ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები - 248 ხმა - 1.02% ;

8. დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი - 406 ხმა - 1.67% ;

9. ლელო - 965 ხმა - 3.97% ;

10. შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 466 ხმა - 1.92% ;

25. გახარია - საქართველოსთვის - 2585 ხმა - 10.63%:

36. გირჩი - 322 ხმა - 1.32% ;

37. თავისუფალი საქართველო (ზაზ ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა - 123 ხმა - 0.5% ;

41. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო - 10140 ხმა - 41.69% ;

45. ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება - 371 ხმა - 1.53% ;

დაბოლოს, მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნები. ჩვენი მუნიციპალიტეტი დაყოფილი იყო ცხრა მაჟორიტარულ ოლქად. ცალკეული მაჟორიტარული ოლქების შედეგები კი ასეთია:

მაჟორიტარული ოლქები

#1 (ხაშური) 1, 6, 7, 9, 10, 11, 43, 46 საარჩევნო უბნები;

ეკატერინე პაპუაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 1496 ხმა - 34.98% ;

რევაზ ბარბაქაძე (დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) – 198 ხმა - 4.63% ;



ნოდარ სახვაძე (გახარია - საქართველოსთვის) – 679 ხმა - 15.88% ;

მერაბ ცხოვრებაძე (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) – 1904 ხმა - 44.52% ;

#2 (ხაშური) 14, 2, 3, 4, 5, 44 საარჩევნო უბნები ;

ირმა ხორბალაძე (მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი) – 169 ხმა - 5.45% ;

(დასასრული II გვერდზე)

(დასასრული)

ელზა კიკაძე (ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის) – 89 ხმა - 2.87% ;
ლელა ხარატიშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 943 ხმა - 30.41% ;
ზურაბ კიკნაძე (დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) – 79 ხმა - 2.55% ;
ზაზა ღონღაძე (გახარია - საქართველოსთვის) – 354 ხმა - 11.42% ;
ალექსანდრე სიმონიშვილი (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) – 1467 ხმა - 47.31% ;

#3 8, 12, 13, 42, 45, 49, 50 საარჩევნო უბნები:

შორენა კიკაძე (ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის) – 89 ხმა - 2.58% ;
გიორგი ნოზაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 1405 ხმა - 40.78% ;
ირმა ჭადაშვილი (დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) – 74 ხმა - 2.15% ;
ალექსანდრე კურტანიძე (გახარია - საქართველოსთვის) – 669 ხმა - 19.42% ;
გოდერძი არჯევანიძე (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) – 1208 ხმა - 35.07% ;

#4 ოსიაური, წრომი, ხცისი, ხალების საარჩევნო უბნები:

თამაზ გაგლოშვილი (ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის) – 28 ხმა - 1.59% ;
ვახტანგ მურჯიკნელი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 422 ხმა - 23.98% ;
ნუგზარ თუმანიშვილი (დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი -

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) – 24 ხმა - 1.36% ;
ნოვე ტაბატაძე (გახარია - საქართველოსთვის) – 205 ხმა - 11.65% ;
ლევან გამრეკელი (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) – 1081 ხმა - 61.42% ;

#5 ალი, წაღვლის საარჩევნო უბნები:

ნიკოლოზ ლომიძე (ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის) – 42 ხმა - 2.17%;
ელენე ნოზაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 613 ხმა - 31.7% ;
გია მაისურაძე (დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) – 43 ხმა - 2.22% ;
ჯონდო კაპანაძე (გახარია - საქართველოსთვის) – 253 ხმა - 13.08% ;
ზაზა სხილაძე (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) – 983 ხმა - 50.83% ;

#6 ქვიშხეთი, ცხრამუხის საარჩევნო უბნები:

ნატო კიკაძე (ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის) – 976 ხმა - 3.82%;
ნანი მჭედლიშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 757 ხმა - 29.85% ;
მურად ბირკაძე (დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) – 39 ხმა - 1.54% ;
კახაბერ ლელუაშვილი (გახარია - საქართველოსთვის) – 255 ხმა - 10.06% ;
მუხრან ჩადუნელი (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) – 1231 ხმა - 48.54% ;
აქვსენტი გოგოლაძე (დამოუკიდებელი) – 157 ხმა - 6.19%.

#7 გომი, ფლევის საარჩევნო უბნები:

ენგური ნინიაშვილი (მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი) – 101 ხმა - 4.65%;
თამაზ ჩოჩიშვილი (ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის) – 48 ხმა - 2.21%;
თემურ ვარდოშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 412 ხმა - 18.95% ;
კობა ნოზაძე (ლელო) – 290 ხმა - 13.34% ;
თემურ შერაზადიშვილი (გახარია - საქართველოსთვის) – 284 ხმა - 13.06% ;
ილია კაპანაძე (გირჩი) – 255 ხმა - 11.73% ;
დავით მეტრეველი (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) – 784 ხმა - 36.06% ;

#8 სურამის საარჩევნო უბნები:

მაია ღონღაძე (მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი) – 112 ხმა - 2.8% ;
იური კვინიკაძე (ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის) – 53 ხმა - 1.32%;
დავით გარადინსკი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 1403 ხმა - 35.02% ;
მზია გრიგალაშვილი (ლელო) – 156 ხმა - 3.89% ;
ირინე გელაშვილი (გახარია - საქართველოსთვის) – 436 ხმა - 10.88% ;
ხათუნა გელაშვილი (თავისუფალი საქართველო ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა) – 127 ხმა - 3.17% ;
მაყვალა მაისურაძე (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) – 1719 ხმა - 42.91% ;

#9 ცოცხნარის საარჩევნო უბანი:

ზურაბ ლომსაძე (მესამე ძალა - სტრატეგია აღმაშენებელი) – 33 ხმა - 7.1% ;
სიმონ ლომიძე (ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის) – 4 ხმა - 0.86%;
ალექსანდრე გოგალაძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) – 89 ხმა - 19.14% ;
იური გოგალაძე (დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) – 5 ხმა - 1.08% ;
კობა ხაჩიძე (ლელო) – 93 ხმა - 20% ;
მიხეილ ტეფნაძე (გახარია - საქართველოსთვის) – 26 ხმა - 5.59% ;
ნოდარ ლომიძე (ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო) – 215 ხმა - 46.24% ;

ამ შედეგების მიხედვით, წინასწარი მონაცემებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები იქნებიან (მაჟორიტარული ოლქებიდან) ოცნებიდან: მერაბ ცხოვრებაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ლევან გამრეკელი, ზაზა სხილაძე, მუხრან ჩადუნელი, მაყვალა მაისურაძე, ნოდარ ლომიძე. ნაციონალური პარტიიდან - გიორგი ნოზაძე. რაც შეეხება მეშვიდე მაჟორიტარულ ოლქს (გომი, ფლევი), აქ გაიმართება მეორე ტური და გამარჯვებისათვის იბრძოლებენ დავით მეტრეველი (ოცნება) და თემურ ვარდოშვილი (ერთიანი ნაციონლური მოძრაობა), რომლებმაც პირველ ტურში შესაბამისად 36.06% და 18.95% მიიღეს. არსებული წესით კი გამარჯვებისათვის 40 პროცენტი პლუს ერთი ხმა იყო საჭიროო.

პროპორციული სისტემით საარჩევნო ბარიერი ოთხმა პარტიამ გადალახა: „ქართულმა ოცნებამ“, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „ლელომ“ და „გახარია - საქართველოსთვის“. უახლოეს დღეებში საბოლოოდ დაზუსტდება ყველა მონაცემი და დადგინდება თუ თითოეული ამ პარტიიდან რამდენი კანდიდატი მიიღებს დეპუტატის მანდატს.

რაც შეეხება არჩევნების მეორე ტურს,იგი 30 ოქტომბერს გაიმართება.

# “რუსული დეზინფორმაციის კამპანია პირდაპირ მიმართულია სხვადასხვა ქვეყნების ჯანდაცვის სისტემების წინააღმდეგ” - რა კვებავს ანტივაქსერულ პროპაგანდას მსოფლიოსა და საქართველოში?

იმ ფონზე,როდესაც ქვეყანაში ყოველდღიურად კორონავირუსით საშუალოდ, ათასზე მეტი ადამიანი ავადდება და 50-მდე იღუპება, ანტივაქსერული კამპანია ახალ ძალებს იკრებს. რამდენიმე დღის წინ, “ფეისბუქმა“ რუსეთთან დაკავშირებული არაერთი ანგარიში დაბლოკა, რომლებიც მიზანმიმართულად ეწეოდნენ ანტივაქსერულ კამპანიას დასავლური ქვეყნების სოციალურ სივრცეში. ზოგადად, ანტივაქსერულად განწყობილი ჯგუფები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან, მათ შორის, ჩვენთანაც არ არის სახარბიელო მდგომარეობა და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, აშკარაა, რომ ანტივაქსერული იდეების პროპაგანდას კამპანიური ხასიათი აქვს. თუ გავითვალისწინებთ, რუსეთი საქართველოში რა ფართო ფრონტით მუშაობს და როგორ ცდილობს ჩვენი საზოგადოების დაშლა-დაქუცმაცებას, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ოკუპანტი ქვეყანა ამ მიმართულებითაც ცდილობდეს ჩვენთან ცეცხლის დანთებას.

“რუსული დეზინფორმაციის კამპანია, რომელიც პირდაპირ არის მიმართული სხვადასხვა ქვეყნების ჯანდაცვის სისტემების წინააღმდეგ, მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სამედიცინო კუთხითაც. ერთი მხრივ,რუსეთი ამ გზით ცდილობს უნდობლობა, პოლარიზაცია და ქაოსი გააღვივოს უცხო ქვეყნებში, რაც პოლიტიკური რისკების შემცველია ამ საზოგადოებებისთვის. მეორე მხრივ კი, ჯანდაცვის უწყებებისა და მედიცინისადმი უნდობლობის გაჩენამ ხალხში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ადამიანების ჯანმრთელობას.

კორონავირუსით გამოწვეული გლობალური კრიზისის ფონზე, საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციისკენ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესია მიმართული, რის გამოც ამ საკითხებთან დაკავშირებული დეზინფორმაცია კიდევ უფრო ფართო აუდიტორიამდე აღწევს და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტ ადამიანში გააღვივოს უნდობლობა ვაქცინებისა და, ზოგადად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უწყებებისადმი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ დღევანდელ კრიზისულ რეალობაში, საქართველოს გააჩნდეს მწყობრი სტრატეგია ამგვარ დეზინფორმაციასთან გასამკლავებლად, რათა ქვეყანამ თავიდან აირიდოს ჯანდაცვის უწყებებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისადმი უნდობლობის ზრდა. დეზინფორმაციით მიღებული ზიანის საფრთხე რეალურია, რადგან ამან თავის მხრივ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი რისკების ქვეშ დააყენოს მოქალაქეების ჯანმრთელობა და უარესობისკენ შეცვალოს ის პოზიტიური მაჩვენებლები, რაც ქვეყანას აქვს მოსახლეობის იმუნიზაციის კუთხით”,- ეს არის ამონარიდი “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის” (IDFI) მიერ ჯერ კიდევ 2020 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებული მასალიდან. სამწუხაროდ,ჩვენ ამ მიმართულებით აშკარად ბევრი შეცდომა დავუშვით.

ქვეყანაში ანტივაქსერული განწყობების გაღვივება არის თუ არა კამპანიური და მართული? - ჩვენი სტატიის პირველი რესპონდენტი ჯანდაცვის პოლიტიკის ექსპერტი გიორგი ფხაკაძეა:

- ეს უფრო კომბინირებული პროცესია. ერთი ორგანიზებული კამპანია რუსეთიდან და ჩინეთიდან მიმდინარეობდა, რაც ყველასთვის ცნობილია, ვინც ამ პროცესში ჩართულია. რუსეთი ახლაც აგრძელებს და ლაპარაკობს, რომ “სპუტნიკი“ მსოფლიოში ყველაზე ეფექტიანი ვაქცინაა და მისი დაცვის ხარისხი თურმე 93%-ს აღწევს. სხვათა შორის,“ფაიზერის“ და “ასტრა ზენეკას“ ყველაზე დიდი ანტირეკლამა ამ ქვეყნიდან მოდიოდა,- შეხედეთ,დასავლური ვაქცინა ცუდია და ჩვენი კარგიაო. თვითონ რუსეთივე დაზარალდა,პროცესში მოქალაქეები ჩაითრიეს, რომლებიც მთლიანად ამ ვაქცინაციის წინააღმდეგ წავიდნენ. როგორც თავის დროზე შევარდნაძე ეუბნებოდა რუსებს, საქართველოში ჩადენილი ბუმერანგივით დაგიბრუნდებათო, ზუსტად ასე დაემართათ, უკან დაუბრუნდათ ანტივაქსერული კამპანია, რომელიც მთელ მსოფლიოში დაიწყეს, რათა თავისი ვაქცინა პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოეყენებინათ. ჩაუვარდათ ეს წამოწყება...

ჩინეთიც იმავეს აკეთებდა და ახლაც ცდილობს, რომ გაავრცელოს ინფორმაციები, საკუთარი ვაქცინების ეფექტიანობაზე, სხვები კი აძაგოს... ჩინეთი და რუსეთი ცდილობენ გავლენის ქვეშ მოიქციონ ქვეყნები და ადამიანები, რითაც ყველასთვის ცუდ საქმეს აკეთებენ.

გარდა ამისა, არიან კონკრეტული პირები, ცნობილია დაახლოებით 28 ადამიანი მსოფლიოში, ვინც ყველაზე ცნობილი ანტივაქსერია. მათ სექტანტებს ვუწოდებ,რომლებიც ცდილობენ სხვა ადამიანების შიშზე დიდი ფული იშოვონ. ძალიან მარტივადაა საქმე. იგივე ქალბატონი თინა თოფურია, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი ანტივაქსერია,სინამდვილეში თავის ბალახს ყიდის. აკეთებს რეკლამას, - აი, მე მაქვს წამალი, რომელიც კორონას წინააღმდეგ დაგეხმარებათო. ზოგიერთი ლაივ-ჩართვებს აკეთებს, ლაიქები სურს, მერე ამას სხვადასხვა კომპანიებზე ყიდის. ამასაც ხშირად პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებენ.

არაერთი სტატია დაიბეჭდა, რომ ანტივაქსერები მილიარდზე მეტ მოგებას ნახულობენ თვეში მარტო რეკლამებით; აგროვებენ აუდიტორიას და ლაიქებს, რეკლამას ყიდიან. ანუ ცდილობენ ფული იშოვონ, მეტი არაფერი ადარდებთ.

ასევე,არიან ადამიანები,რომლებიც გულწრფელად შეშინებული,დაბნეული არიან და განათლების დონეც დაბალია. შეიძლება ეს იყოს რელიგიური ან საერო განათლების პრობლემა. მთელ მსოფლიოში ბევრი რელიგიური ჯგუფიც კი მანიპულირებს, რომ სამყაროში ბოლო ჟამი დგას, ვაქცინა ეშმაკისეულია და ა.შ. სხვათა შორის,დიდი რელიგიების წარმომადგენლებიც კი ამბობენ, რომ კორონა არ არსებობს. მერე რომ დაემართებათ, თურმე არსებობს... სამწუხაროდ,ეს ტენდენცია მთელ მსოფლიოშია და საქართველოც ამის ნაწილია.

- რუსეთმა “სპუტნიკით“ რა შედეგები მიიღო და მისი ავტორიზაციის საკითხი სადამდე მივიდა?

- “სპუტნიკის“ ავტორიზაცია არის იქ, სადაც ერთი წლის წინ იყო, ანუ არსად... ჩინელებიც კი უფრო ჭკვიანურად მოიქცნენ. რუსებმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში განაცხადი შეიტანეს და თქვენ უნდა ნახოთ ეს ყველაფერი. რეალურად, მთელი ეტაპებია გასავლელი, ვაქცინის შესახებ კლინიკური კვლევები და ა.შ. ცალკე თემაა,სად არის წარმოებული,როგორია ეს ხარისხი, უსაფრთხოება და ა.შ. მწარმოებლის ხარისხის სტანდარტიც ვერ გადალახეს, ანუ მარტივ ენაზე რომ აგიხსნათ, ჩვენში სახალხო კონტროლის ქალბატონი რესტორნებში რომ დადის და ვირთხებს ეძებს, აქაც ზუსტად ასეა, ჯანმო სანამ ვაქცინამდე მივა, ჯერ მიდის ქარხანაში და ამოწმებს, იქ “ვირთხები ხომ არ დარბიან”. რუსებმა ეს სტანდარტიც ვერ გადალახეს.

საბოლო ჯამში, რაც უნდა ვატრიალოთ, დღეს მსოფლიოში ყველაზე ეფექტური ორი ვაქცინაა - “ფაიზერი” და “მოდერნა”.

- ქართულ რეალობაში ანტივაქსერულ განწყობებს კიდევ რა კვებავს, თქვენი დაკვირვებით?

- აქ მარტო ვაქცინაზე არ არის ლაპარაკი, მოსახლეობას ნდობა არავისი აქვს ან ვის უნდა ენდო, ვინ არის ქვეყანაში პიროვნება ან ორგანიზაცია, ინსტიტუცია, რომელსაც ვენდობით? ანტივაქსერული მოძრაობას ისიც კვებავს, რომ მოსახლეობა აღარ ენდობა სახელმწიფოს, ვისაც ეს ვაქცინები შემოაქვს.

- ამ რეალობაში გამოსავალი სად არის, რომ ადამიანები აცრის გარეშე არ დარჩნენ და ამ კატასტროფას ნელ-ნელა თავი დავაღწიოთ?

- ჩვენ კატასტროფას თავს ვეღარ დავაღწევთ, სამწუხაროდ, დავაგვიანეთ. ამას კიდევ არჩევნები ემატება, მეორე კატასტროფა, რომელიც მოდის. ამ ქვეყანაში ყველა გადაწყვეტილება საარჩევნოა და არა ის, რაც ადამიანებს სჭირდებათ. მაგალითად, ქვეყანა პირველ ივლისს ჩასაკეტი იყო, არავინ ჩაკეტა. ვაქცინაციის პროგრამა სულ სხვაგვარად იყო ასაწყობი.

ჩვენთან ახლა ის სიტუაციაა, რაც ბრაზილიაში ხდებოდა პირველი ტალღის დროს. როცა პრეზიდენტი ამბობდა, მე ბიზნესი მირჩევნია დაავადების მართვასო. დაგავიწყდათ რაც იყო ბრაზილიაში? სხვათა შორის, ბრაზილიური შტამი ამიტომ წამოვიდა. ჩვენ ისე გავაკეთებთ, მალე ალბათ ქართული შტამი გვექნება. რა დროის კონცერტები და შეხვედრებია. მიხარია ოლიმპიელებმა რომ გაიმარჯვეს, მაგრამ ბოდიში, ამ პანდემიის დროს მსგავსის ჩატარება მიზანშეწონილი იყო?

რამაზ საყვარელიძე, ფსიქოლოგი:

- თვითონ კოვიდის გარშემო ძალიან ბევრი ფსიქოლოგიური კვლევა არის ჩატარებული,რადგან ბევრი თანმდევი თემატიკა დაგროვდა. აქ არის სტრესი, იზოლაციით გამოწვეული ნეგატიური ემოციები და ა.შ. ანტივაქსერული განწყობილებების მექანიზმზე კი ახლა იწყება, ჯერ მომწიფებული პოზიცია არ არსებობს. მხოლოდ ახლა ახსენდებათ, რომ პრაქტიკულად ყველა დიდი ვაქცინაციის დროს იყო ადამიანთა საკმაოდ სერიოზული ნაწილი, რომელიც დაახლოებით მსგავსი ტექსტებით გამოდიოდა, - რომ ვაქცინასთან ერთად სხვა რაღაცას შეგვიშხაპუნებენ, ბუნებრივია “ჩიპებზე“ ადრე არ ყოფილა საუბარი... უფრო საწამლავზე, მომადუნებელ მედიკამენტებზე კეთდებოდა აქცენტი, რომ მერე გვმართონო და ა.შ.

ეს ანტივაქსერული განწყობა პათოლოგიური არ არის, რადგან დროის შეცვლასთან ერთად, ისიც გადის... ჩვენში (ნორმალურ ადამიანებში) ყოველთვის ზის ეჭვი. პათოლოგიის დროს ასეთი მექანიზმები მოიშლება ხოლმე, თორემ პრინციპში ზოგადი მექანიზმი იგივეა, რაც ნორმალურ ადამიანთან. ნორმალურში ყოველთვის ზის საფრთხის შიში, რომ, არიქა, ვიღაც რაღაცას დაუშავებს. ეტყობა, ასეთი ხალხი გაცილებით მეტია, ვიდრე გვგონია. ძალიან ადვილად იტაცებენ ხოლმე ასეთ ვერსიებს, რომ ვიღაცები საიმისოდ არიან შეთქმულები, რომ გაანადგურონ ან მართონ, დააკნინონ მთელი მსოფლიო ან ერთი კონკრეტული ნაწილი, მაგალითად, საქართველო. საზოგადოებაში არის ასეთი ეჭვიანი ხალხის ადგილი, რასაც ვერაფერს ვუზამთ. თუმცა აშლილობის შემთხვევაში ეს იძლევა ავადმყოფობის სურათს და შეიძლება ვუმკურნალოთ.

- ჩვენს რეალობაში ადამიანებმა ამას თავი როგორ უნდა დააღწიონ,ჩაიტარონ აცრა, წესები დაიცვან, რომ არსებულ სირთულეებს თავი დავაღწიოთ?

- რეალობას თავს აღწევენ უფრო ავტორიტარული ქვეყნები. გახსოვთ ცერცვაძე რომ იძახდა, რა გინდათ, როგორც ჩინეთმა გადაწყვიტა პრობლემა, ისე გადავწყვიტოთ, ყველა ქუჩაზე ჯარისკაცი რომ იდგაო. დააყენებენ ჯარისკაცს და გადაწყვეტენ. ან თუნდაც ისრაელში როგორც გადაწყვიტეს. კი ბატონო, თქვენი ნებააო, უთხრეს მოქალაქეებს, მაგრამ ვინც აცრილი არ იქნებით, სამსახურიდან გამოგიშვებენ, ავტობუსში ასვლის უფლება არ გექნებათ და ა.შ. ანუ დანარჩენ საზოგადოებასთან კონტაქტში ვერ შეხვალთო; ისე, თქვენ როგორც გინდათ, გინდ აიცერით, გინდ - არაო. ასე რომ, ისევ იძულებითი ხერხი იყო, ოღონდ უფრო რბილი მანევრით. ეს არის, უნდა აიძულო ადამიანები, ოღონდ აიძულო ისრაელელთა მსგავსად, მორალურად საკმაოდ გამართული პოზიციიდან. სხვები რომ არ დაავადდნენ, ამიტომ ადამიანს უნდა შეეზღუდოს სოციალური კონტაქტების უფლება თუ აცრილი არაა. ეს დასჯა არ არის, როგორც უნდა ისე მოიქცეს, მაგრამ სხვას რომ არ გადაეცეს და პანდემია უსასრულოდ არ გაგრძელდეს, ეს უნდა გაკეთდეს.

ცოტა არ იყოს სადავო საკითხია, ქართულ რეალობაში თუნდაც “მორალური იძულება“ რა შედეგებს გამოიტანს. ალბათ, ფრონტის მთავარი ხაზი ვაქცინაციის მოწოდების კამპანიაზე, ისევ და ისევ, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად კონკრეტულ ნაბიჯებზე უნდა გადიოდეს. დრო არ ითმენს, ქვეყანა უხილავ, მაგრამ დაუნდობელ მტერთან სასტიკ ბრძოლაშია ჩაბმული.

მერაბ ბერიძე

# გილოცავთ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს!

გასულ წელს, მასწავლებლის დღე, ფართომასშტაბიანი ღონისძიებით აღინიშნა ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ულამაზეს ეზოში. (მადლობა მასპინძლებს გულთბილი დახვედრისთვის).

ვირუსული დაავადებით გამოწვეულ შეზღუდვების გამო, წელს ვერ შედგა პირისპირ შეხვედრა. 5 ოქტომბერი, მასწავლებელთა მსოფლიო დღე, რომელიც 171 ქვეყნის განათლების ყველა დარგის მუშაკს აერთიანებს, გვაძლევს საშუალებას კიდევ უფრო მეტად ვიზრუნოთ საყოველთაო ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად რესურსების მოსაძიებლად.

პანდემიამ ძირეულად შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი და

საქმიანობა. საამაყოა, რომ პედაგოგთა კორპუსმა გამოავლინა უდიდესი პასუხისმგებლობა, თავდადება, პროფესიისადმი ერთგულება, აღსაზრდელების მიმართ სიყვარული და ურთულეს პერიოდში წარმართა აბსოლიტურად უჩვეულო, ახალი ფორმატით, საგაკვეთილო პროცესი, რაც გარკვეულ სიძნელეებთან იყო და დღესაც არის დაკავშირებული. ცოცხალი საგაკვეთილო მუშაობის ონლაინ მეთოდებით შეცვლას პედაგოგებმა, ადმინისტრაციამ ღირსეულად გაართვა თავი, რისთვისაც მადლობას იმსახურებენ.

ისევე, როგორც ყველგან, პანდემიამ შეცვალა ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის წესრიგი, ფორმატი და მეთოდები.

ორგანიზაციის მიერ არჩეული გზა - საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პრობლემები გადაგვეჭრა ხელისუფლებასთან სოციალური დიალოგის მეშვეობით, წარმატებით ხორციელდება. განათლების სამინისტროსთან კონსტრუქციული თანამშრომლობით, დადებითი შედეგები დადგა მასწავლებელთა სასარგებლოდ. ხელისუფლების მხარდაჭერით რადიკალურად გაუმჯობესდა პედაგოგთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი უფლებები. ძირეულად შეიცვალა პროფესიული განვითარების სქემა, პედაგოგთა სასარგებლოდ.

განათლების სამინისტრო იზიარებს სპმთპ-ის წინადადებებს. მკვეთრად გაიზარდა მასწავლებლის ანაზღაურება.

- მენტორი მასწავლებლის ხელფასი არის - 1798 ლარი.
- წამყვანი მასწავლებლის ხელფასი არის - 1498 ლარი.
- უფროსი მასწავლებლის ხელფასი - 1118 ლარი.

სკოლის მასწავლებლის საშუალო ხელფასი გაუთანაბრდა საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს, რასაც წლების მანძილზე ვითხოვდით.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ, სრულყოფილად არ სრულდება ,, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'' - საქართველოს კანონის ცალკეული მოთხოვნები, არ არის განსაზღვრული სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა მინიმალური ხელფასის ოდენობა.

მუნიციპალიტეტებს სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზით არ შეუმუშავებიათ კანონით დადგენილი ნორმატიული აქტები. იმედს ვიტოვებთ, რაიონის ახლადარჩეული ხელმძღვანელობა პროფკავშირთან თანამშრომლობით შეასრულებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

ქვეყანაში მიმდინარეობს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების პროცესი, ჩვენს ორგანიზაციას, როგორც არასდროს, ესაჭიროება ღრმა ანალიზის საფუძველზე, საკუთარი წევრების შრომის დაცვისა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ისეთი გზების ძიება, რომელიც ყველაზე მეტად მიგვაახლოებს მთავარ მიზანს - საქართველოს მომავალი თაობის ევროპულ დონეზე აღზრდა-განათლებას.

სპმთპ-ის პრეზიდენტი ქალბატონი მაია კობახიძე წარდგენილია განათლების სამინისტროს ყველა კომისიაში, საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის ინიციატივით შექმნილ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ საკონონმდებლო ინიციატივების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების განხილვის პროცესში.

მსოფლიო პანდემიით გამოწვეული კარანტინიდან გამომდინარე, დისტანციური სწავლების გამო, კარიერული წინსვლის პროცესის შეფერხება გახდა მიზეზი პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ საჭირო ქულების მიუღებლობის. ჩვენი მიზანია, უფრო მეტი პასუხისმგებლობით, მეტი ენერგიით და ენთუზიაზმით მუშაობა განათლების ყველა სფეროში, რომ არცერთი წევრი არ დარჩეს ყურადღების მიღმა და კრიზისი დავძლიოთ გამარჯვებით.

გილოცავთ მასწავლებლის დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას ყველა პრობლემის დაძლევას, რომ წარმატებით შევასრულოთ სპმთპ-ს X საანგარიშო ყრილობის დევიზი: ,,პროფკავშირული სოლიდარობა, მაღალი სამოქალაქო ცნობიერება და პროფესიონალიზმი არის განათლების ხარისხის ამაღლების და პანდემიის დაძლევის გზა''.

ჩვენ ყველა, ამ დევიზის ირგვლივ ვერთიანდებით!

**ინეზა ელისაშვილი,**

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა
თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული
ორგანიზაციის თავმჯდომარე

## ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პარტიების საყურაღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 24 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავებისთვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გაზეთის მე-4 გვერდი (988კვ.სმ), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494კვ.სმ.).

ფასიანი რეკლამის შეთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 15 თეთრს (ერთი გვერდი - 148 ლარი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 10 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შეთხვევაში- 98 ლარი და 80თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში - 49 ლარი და 40 თეთრი.

**გაზეთის „ხაშურის მოამბე“ - რედაქცია**

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.